



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
ქ ა ლ ა ქ რ უ ს თ ა ვ ი ს მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ი ტ ე ბ ი ს  
მ ე რ ი ა  
G E O R G I A  
RUSTAVI CITY MUNICIPALITY CITY HALL



წერილის ნომერი: 38-38223196  
თარიღი: 15/11/2022

ადრესატი: ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
თავმჯდომარეს ბატონო ნოდარ შეროზიას

ბატონო ნოდარ,

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 54-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის მე-8 და მე-9 პუნქტების შესაბამისად წარმოგიდგენთ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტს თანდართული მასალებით.

პატივისცემით,

ნინო ლაცაბიძე

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია-ქალაქ  
რუსთავის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიცირი  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი



**განმარტებითი ბარათი**  
**საკრებულოს დადგენილების პროექტზე**  
**„ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“**

➤ **ზოგადი ინფორმაცია დადგენილების შესახებ:**

✓ **დადგენილების მიღების მიზეზი:**

დადგენილება მომზადებულია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე და 91 მუხლების შესაბამისად და განსაზღვრავს 2023 წლის განმავლობაში მისაღები შემოსულობებისა და გასაწევი გადასახდელების მაჩვენებლებს.

- პრობლემა რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს დადგენილება:

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებულ, მუნიციპალიტეტის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობას.

- არსებული პრობლემის გადასაჭრელად დადგენილების მიღების აუცილებლობა:

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ მომზადება და მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ განხილვა და დამტკიცება ხორციელდება ყოველწლიურად.

✓ **დადგენილების პროექტის მოსალოდნელი შედეგი:**

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 77-ე მუხლის შესაბამისად, 2023 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების დამტკიცება.

✓ **დადგენილების პროექტის ძირითადი არსი:**

**ბიუჯეტის პარამეტრები**

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტით შემოსულობები განისაზღვრა 84 598,4 ათ. ლარით. მათ შორის:

საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა - 58 544,1 ათ. ლარით;

- ქონების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს - 13 650,0 ათ. ლარს;
- დამატებითი ღირებულების გადასახადს საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს - 44 894,1 ათ. ლარს;

გრანტების სახით დაგეგმილი საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა - 8 475,5 ათ. ლარით;

- მიზნობრივი ტრანსფერის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს - 605,0 ათ. ლარს;
- კაპიტალური ტრანსფერის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს - 7 870,5 ათ. ლარს;

სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა - 6 878,8 ათ. ლარით;

- შემოსავლები საკუთრებიდან განისაზღვრა - 1 250,0 ათ. ლარით;
- პროცენტის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა - 1 000,0 ათ. ლარით;
- რენტის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა - 250,0 ათ. ლარით;

- საქონელი და მომსახურების რეალიზაციიდან განისაზღვრა - 2 428,8 ათ. ლარით;
    - სანებართვო მოსაკრებლის მაჩვენებელი განისაზღვრა - 210,0 ათ. ლარით;
    - სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლის მაჩვენებელი განისაზღვრა - 0,8 ათ. ლარით;
    - სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის მაჩვენებელი განისაზღვრა - 900,0 ათ. ლარით;
    - ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის მაჩვენებელი განისაზღვრა - 1 300,0 ათ. ლარით;
    - არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურების მოსაკრებლის მაჩვენებელი განისაზღვრა - 18,0 ათ. ლარით;
  - შემოსავლები ჯარიმები, სანქციები და საურავებიდან განისაზღვრა - 3 000,0 ათ. ლარით;
  - ტრანსფერი რომელიც სხვაგან არა არის კლასიფიცირებული განისაზღვრა - 200,0 ათ. ლარით;
- არაფინანსური აქტივების კლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა - 10 700 ,0 ათ. ლარით;

2023 წლის ბიუჯეტის პროექტით განსაზღვრული შემოსულობები და სავარაუდო ნაშთი, სულ ჯამში შეადგენს 87 367,7 ათ. ლარს, ხოლო გადასახდელების ნაწილში დაიგეგმა პრიორიტეტების შესაბამისად და გადანაწილდა მუხლობრივად:

- შრომის ანაზღაურება - 25 303,3 ათ. ლარით მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებში, მის მიერ დაფუძნებული იურიდიულ პირებში და რუსთავის საკრებულოში დასაქმებული თანამშრომლების ხელფასის ფონდი.
- საქონელი და მომსახურება - 23 092,8 ათ ლარი. მათ შორის: სკოლამდელი დაწესებულებების კვების ხარჯი, ოფისის ხარჯებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტისა და მის მიერ დაფუძნებული იურიდიულ პირების სხვადასხვა სახის ხარჯები; ტრანსპორტის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები გათვლილია მუნიციპალიტეტისა და მის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებში ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიმდინარე რემონტისა და სათადარიგო ნაწილებისთვის; ასევე საწვავ-საპოხი მასალების შეძენა; დაგეგმილია სახელშეკრულებო წესით შესასრულებელი სხვადასხვა სახის სამუშაოებისა და მომსახურების შესყიდვა, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებში, მის მიერ დაფუძნებული იურიდიულ პირებში და რუსთავის საკრებულოში დასაქმებულ თანამშრომლებზე.
- პროცენტი - 2 235,4 ათ. ლარი გათვალისწინებულია მუნიციპალური განვითარების ფონდიდან წინა წლებში აღებული სესხის პროცენტის დასაფარად. (მუნიციპალიტეტისთვის სამგზავრო ავტობუსების და მყარი ნარჩენების მართვის პროექტების ფარგლებში)
- სუბსიდიები - 6 600,3 ათ. ლარით თვითმმართველობა სუბსიდირებას უწევს ავტოტრანსპორტის საწარმოს, სასაფლაოების მოვლა-პატრონობასა და სპორტულ კლუბებს (რაგბი და კალათბურთი).
- გრანტები - 6,0 ათ. ლარი გათვალისწინებულია ენერგო ქალაქების საწევროს დასაფინანსებლად.
- სოციალური უზრუნველყოფა - 6 300,2 ათ. ლარი განკუთვნილია ქალაქის სოციალურად დაუცველი ფენების და მოსახლეობის სხვადასხვა კატეგორიებზე მუნიციპალურ ავტოტრანსპორტის შეღავათები; წყლის გადასახადზე; იმუშავენ უფასო კვების პროგრამა; გათვალისწინებულია მოსახლეობის შეღავათები მედიკამენტებზე, საქართველოს ერთიანობისათვის დაღუპულ

მეომართა ოჯახების მატერიალური დახმარება, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა ცენტრის ხელშეწყობა და სხვა.

- სხვა ხარჯები - 11 229,1 ათ. ლარი გამიზნულია საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების რეაბილიტაციისა და ამხანაგობების ხელშეწყობის პროგრამების განსახორციელებლად.
- არაფინანსური აქტივები - 9 426,1 ათ. ლარი გაგრძელდება ქალაქში ინფრასტრუქტურული პროექტები და შესყიდულ იქნება ა(ა)იპ-ების მიერ ინვენტარი/ტექნიკა, რაც მათი სამუშაო პროცესისათვის არის საჭირო.
- ვალდებულებები - 3 174,5 ათ. ლარი გათვალისწინებულია მუნიციპალური განვითარების ფონდიდან წინა წლებში აღებული სესხის ძირი თანხის დასაფარად. (მუნიციპალიტეტისთვის სამგზავრო ავტობუსების და მყარი ნარჩენების მართვის პროექტების ფარგლებში)

*შენიშვნა: მერის სარეზერვო ფონდი განისაზღვრა 800 ათ. ლარით.*

*ასევე დაგეგმილია შრომის ანაზღაურების გაზრდა 10%-ის ფარგლებში ქალაქ რუსთავის მერიის მიერ დაფუძნებულ იურიდიული პირებისთვის, ქალაქ რუსთავის საკრებულოსთვის, ქალაქ რუსთავის მერიისთვის ქალაქ რუსთავის მერის თანამდებობრივი სარგოს გარდა.*

### **ბიუჯეტის პროექტში გენდერული ასპექტების გათვალისწინების თაობაზე**

საქართველოს ფინანსთა მინისტრის №385 ბრძანებით „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ განსაზღვრულია, რომ პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, ერთ-ერთი ინდიკატორი შეიძლება იყოს გენდერული, ასეთის არსებობის შემთხვევაში. მეთოდოლოგიის მიხედვით, გენდერული ინდიკატორები შემუშავებული უნდა იყოს პროგრამისა და ქვეპროგრამის საბოლოო და შუალედური შედეგებისთვის.

ამდენად, გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მიზნით, 2023 წელს მუნიციპალიტეტის ფინანსური დოკუმენტების შემუშავების დროს, 2023-2026 წლის პრიორიტეტების დოკუმენტსა და 2023 წლის პროგრამული ბიუჯეტის პროექტის დანართებში გათვალისწინებული იქნა გენდერული ასპექტები.

შეირჩა პროგრამები და ქვეპროგრამები, რომლის გენდერული ანალიზიც ჩატარდა მუნიციპალიტეტის მერიის დარგობრივი სამსახურებისა და პროგრამების განმახორციელებელი ა(ა)იპ-ების მიერ, გენდერული ანალიზის შედეგების საფუძველზე 2023 წლის ბიუჯეტის პროექტში აღნიშნული პროგრამების/ქვეპროგრამების მოდიფიცირება მოხდა. კერძოდ, შესაბამისი გენდერული პოლიტიკა და მიდგომები ასახულია პროგრამის აღწერისა და შედეგების ნაწილში, ამასთან პროგრამებს/ქვეპროგრამებს აქვთ გენდერული ინდიკატორები. სამომავლოდ, გაგრძელდება მუშაობა გენდერულ ბიუჯეტზე, ჩატარდება გენდერული საჭიროებების კვლევები და პროგრამებისა და ქვეპროგრამების ფორმირების დროს გათვალისწინებული იქნება გენდერული საკითხები.

### **პროგრამების განმახორციელებლების მიხედვით გათვალისწინებულია:**

**ინფრასტრუქტურის განვითარების ასიგნებები** განისაზღვრა 11 586.1 ათასი ლარით, ძირითადი პროგრამების მიხედვით ასიგნებები განისაზღვრა შემდეგი ოდენობით:

- **გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთების ღონისძიებები** - 4 307.6 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის თანხები ძირითადად მიიმართება შემდეგი ლოკაციებზე:
  - 9 ძმა ხერხეულიძის, გურამიშვილის, ლერმონტოვის და შევჩენკოს ქუჩების გზის, ტროტუარების და სანიაღვრე სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების და გაზონის, გარე განათებისა და სარწყავი სისტემის მოწყობა - 2 326,7 ათასი ლარი;

- კონსტიტუციისა და ქაშაკაშვილის ქუჩებზე ტროტუარების, გარე განათების, გაზონის, სარწყავი სისტემისა და მშენებელთა ქუჩაზე საგზაო საფარის, ტროტუარების, გარე განათების, გაზონისა და სარწყავი სისტემის მოწყობა - 1 365,3 ათასი ლარი;
- ჰამლეტ გონაშვილის, გოგი დოლიძის და ჩოხელის ქუჩის მიმდებარედ გზის მოწყობა - 355,0 ათასი ლარი;
- და სხვა ...
- **გზებისა და ტროტუარების მიმდინარე შეკეთების ღონისძიებები** - 415,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:
  - ქალაქში არსებული დაზიანებული ასფალტის საფარის ორმოული დამუშავების ფარგლებში დაიხარჯება - 400,0 ათასი ლარი.
  - სტიქიური მოვლენების შედეგების ლიკვიდაციის მიზნით, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებთან დაკავშირებული სამუშაოები - 15,0 ათასი ლარი.
- **საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება** - 300,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:
  - ქალაქში განსათავსებელი სიჩქარის მაკონტროლებელი კამერების შეძენა - მონტაჟი 300,0 ათასი ლარი.
- **საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების რეაბილიტაციის ღონისძიებები** - 3 526,6 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის თანხები ძირითადად მიიმართება შემდეგი ლოკაციებზე:
  - რუსთაველის ქუჩაზე არსებული საცხოვრებელი სახლების ფასადების და ტროტუარების რეაბილიტაცია შეადგენს - 3 146,4
  - ჩაპაევის N5-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის გამაგრება-გაძლიერება და ფასადის სარეაბილიტაციო სამუშაოების დაფინანსება შეადგენს - 149,7 ათას ლარს
  - და სხვა ...
- **საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაციის ღონისძიებები** - 1 397,6 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის თანხები ძირითადად მიიმართება შემდეგი ლოკაციებზე:
  - ქალაქ რუსთავში დ. კლდიაშვილის ქუჩაზე არსებული სკვერის რეაბილიტაცია და მედიათეკის მშენებლობა - 212,8 ათასი ლარი,
  - ქალაქ რუსთავში რჩეულიშვილის ქუჩის მიმდებარედ სკვერის მოწყობა - 1 032,1 ათასი ლარი.
  - ქალაქის შემოსასვლელის სკვერი - 120,4 ათასი ლარი.
  - ჩეხოვის N8-სთან სკვერის მოწყობა - 32,3 ათასი ლარი.
- **საპროექტო-სახარჯთადრიცხვო დოკუმენტაციის შექმნისათვის** გათვალისწინებულია 299,0 ათასი ლარი.
- **საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და ექსპერტიზის მომსახურებისათვის** გათვალისწინებულია - 699,3 ათასი ლარი.
- **სამუშაო სკოლებში ტრანსპორტირება და ინფრასტრუქტურის მოწყობა/რეაბილიტაცია** - 518,1 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის თანხები ძირითადად მიიმართება შემდეგი ლოკაციებზე:
  - N5, N7 და N24 საჯარო სკოლების გარე სპორტული მოედნების მოწყობის და N5 საჯარო სკოლის ეზოს შემოღობვის სამუშაოები - 182,9 ათასი ლარი.
  - N4 და N15 საჯარო სკოლებში დრენაჟის მოწყობა - 16,8 ათასი ლარი.
  - N9, N10, N20, N22 და N23 სკოლების შემოღობვის სამუშაოები - 144,7 ათასი ლარი.
  - N22 და N23 საჯარო სკოლების გარე სპორტული მოედნების და ტერიტორიების კეთილმოწყობის სამუშაოები - 121,5 ათასი ლარი.

**ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახურის ასიგნებები** განისაზღვრა 7 530,9 ათასი ლარით, ძირითადი პროგრამების მიხედვით ასიგნებები განისაზღვრა შემდეგი ოდენობით:

- **სტუდენტთა სწავლის დაფინანსების** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 520,0 ათასი ლარის ოდენობით.

- **ზოგასაგანმანათლებლო სკოლების ოქროს მედალზე კურსდამთავრებულთა წახალისების** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 75,0 ათასი ლარის ოდენობით.
- **მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 650,0 ათასი ლარის ოდენობით.
- **მოქალაქეთა მედიკამენტებითა და საანალიზო ტექნიკური საშუალებებით დახმარების** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 300,0 ათასი ლარის ოდენობით.
- **აუტიზმის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის დაფინანსების** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 856,8 ათასი ლარის ოდენობით.
- **გონებრივი განვითარების დაყოვნების, ცერებრული დამბლით დაავადებული და დაუნის სინდრომის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის დაფინანსების** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 415,4 ათასი ლარის ოდენობით.
- **HER - 2 დადებითი ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 64 ათასი ლარის ოდენობით.
- **მინიმალური სასურსათო კვების დაფინანსების** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 2 660,9 ათასი ლარის ოდენობით.
- **სარიტუალო მომსახურებების** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 26,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:
  - ვეტერანების სარიტუალო მომსახურება - 6,0 ათასი ლარი.
  - სოც. დაუცველთა სარიტუალო მომსახურება - 20,0 ათასი ლარი.
- **შეღვათი სასმელი წყლის გადასახადზე** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 56,4 ათასი ლარის ოდენობით.
- **შეღვათები მუნიციპალურ ტრანსპორტზე** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 1 037,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:
  - სოც. დაუცველ პირთა შეღვათები მუნიციპალურ ტრანსპორტზე - 212,9 ათასი ლარი.
  - ვეტერანთა შეღვათები მუნიციპალურ ტრანსპორტზე - 52,0 ათასი ლარი.
  - სსიპ-ებისა და ააიპ-ების თანამშრომელთა შეღვათები მუნიციპალურ ტრანსპორტზე - 120,4 ათასი ლარი.
  - შშმ პირთა შეღვათები მუნიციპალურ ტრანსპორტზე - 63,8 ათასი ლარი.
  - სტუდენტთა შეღვათები მუნიციპალურ ტრანსპორტზე - 103,0 ათასი ლარი.
  - სკოლების მოსწავლეების შეღვათები მუნიციპალურ ტრანსპორტზე - 323,3 ათასი ლარი.
  - პენსიონრების შეღვათები მუნიციპალურ ტრანსპორტზე - 161,6 ათასი ლარი.
- **ინდივიდუალური დახმარებების** პროგრამების ასიგნება განისაზღვრა 39,5 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:
  - ომის ვეტერანთა კომუნალური მომსახურების დაფარვა - 32,5 ათასი ლარი.
  - რეინტეგრირებულ ბავშვთა ოჯახების კომუნალური გადასახადის დაფარვა - 7,0 ათასი ლარი.
- **უხუცეს მოქალაქეთა დახმარების** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 4,0 ათასი ლარის ოდენობით.
- **მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 400,0 ათასი ლარის ოდენობით.

- **საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეთა და მათთან გათანაბრებულ პირთა ოჯახების მატერიალური დახმარების** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 38,5 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:
  - დიდი სამამულო ომის მონაწილეთა და მათთან გათანაბრებულ პირთა ოჯახების მატერიალური დახმარება - 10,0 ათასი ლარი.
  - საბრძოლო ოპერაციებსა და საქართველოს ტერიტორიული მთიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების მატერიალური დახმარება - 28,5 ათასი ლარი.
- **შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარების** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 84,2 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:
  - შშმ პირთა ინდივიდუალური დახმარების პროგრამა (კომუნალურის დაფინანსება) – 76,8 ათასი ლარი.
  - მკვეთრად შშმ ტოტალურ უსინათლოთა გამცილებელი - 7,4 ათასი ლარი.
- **სტუდენტთა სოციალური დახმარების** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 50,0 ათასი ლარის ოდენობით.
- **სოციალური დახმარებების** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 85,0 ათასი ლარის ოდენობით.
- **სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების დამოუკიდებელი ცხოვრების მხარდაჭერის** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 10,0 ათასი ლარის ოდენობით.
- **ღიალიზით დაავადებულთა დახმარების** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 67,2 ათასი ლარის ოდენობით.
- **ბავშვთა დაცვისა და მხარდაჭერის** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 20,0 ათასი ლარის ოდენობით.
- **ძალადობის მსხვერპლი სტატუსის მქონე პირთა დახმარების** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 5,0 ათასი ლარის ოდენობით.
- **შინ მოვლის თანადაფინანსების** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 66,0 ათასი ლარის ოდენობით.

**ა(ა)იპ „ქალაქ რუსთავის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების“** ასიგნება განისაზღვრა 14 209,9 ათასი ლარით, სადაც გათვალისწინებულია სკოლამდელი აღზრდის ხელშესაწყობისათვის საჭირო ღონისძიებების (უფასო სკოლამდელი დაწესებულებების მომსახურებით უზრუნველყოფილი იქნება ქალაქ რუსთავში რეგისტრირებული სკოლამდელი ასაკის ყველა აღსაზრდელი) დაფინანსება.

**ა(ა)იპ „რუსთაველის ცენტრის“** ასიგნება განისაზღვრა 13 954,6 ათასი ლარით, ძირითადი პროგრამების მიხედვით ასიგნებები განისაზღვრა შემდეგი ოდენობით:

- **საგზაო ნიშნები და უსაფრთხოების** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 791,5 ათასი ლარით.
- **სანიადვრე სისტემების მოვლა-პატრონობა** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 430,8 ათასი ლარით.
- **გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობა** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 2 210,1 ათასი ლარით.
- **საზოგადოებრივი სივრცეების მოვლა-პატრონობა** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 996,1 ათასი ლარით.
- **სადღესასწაულო ღონისძიებების ტექნიკური უზრუნველყოფა** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 200,0 ათასი ლარით.
- **დასუფთავება და ნარჩენების გატანა** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 5 418,9 ათასი ლარით.

- მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 3 037,0 ათასი ლარით.
- რუსთავეს ცენტრის ადმინისტრირების პროგრამა პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 870,2 ათასი ლარით.

ა(ა)იპ „რუსთავის კორპუსის“ ასიგნება განისაზღვრა 7 158,6 ათასი ლარით, ძირითადი პროგრამების მიხედვით ასიგნებები განისაზღვრა შემდეგი ოდენობით:

- საცხოვრებელი შენობების სახურავების რეაბილიტაციის პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 724,1 ათასი ლარით.
- მრავალსართულიან საცხოვრებელ შენობებში ლიფტების რეაბილიტაციის პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 2 836,2 ათასი ლარით.
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 2 500,6 ათასი ლარით.
- რუსთავის კორპუსის ადმინისტრირების პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 1 097,7 ათასი ლარით.

შპს „მუნიციპალური ავტოტრანსპორტის საწარმოს“ ასიგნება განისაზღვრა 4 433,4 ათასი ლარით.

ა(ა)იპ „ქალაქ რუსთავის სახელოვნებო სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრის“ ასიგნება განისაზღვრა 4 592,0 ათასი ლარით, ძირითადი პროგრამების მიხედვით ასიგნებები განისაზღვრა შემდეგი ოდენობით:

- სპორტული ღონისძიებების დაფინანსების პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 1 195,9 ათასი ლარით.
- სახელოვნებო განათლების დაფინანსების პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 1 549,2 ათასი ლარით.
- კულტურული ღონისძიებების განხორციელება პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 667,9 ათასი ლარით.
- ახალგაზრდობის მხარდამჭერი ღონისძიებები პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 285,0 ათასი ლარით.
- სპორტის, კულტურისა და ახალგაზრდობის ქვეპროგრამების ადმინისტრირების პროგრამა პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 894,0 ათასი ლარით.

ა(ა)იპ „ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტოს“ ასიგნება განისაზღვრა 80,0 ათასი ლარით.

ა(ა)იპ „რუსთავის მუნიციპალური არქივი“ ასიგნება განისაზღვრა 123,2 ათასი ლარით.

შპს „გემა“ ასიგნება განისაზღვრა 90,0 ათასი ლარით.

ა(ა)იპ "რუსთავის წმინდა აკაკი მორჩილის სახელობის მოხუცებულთა სახლის" ასიგნება განისაზღვრა 566,6 ათასი ლარით.

ა(ა)იპ „საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრის“ ასიგნება განისაზღვრა 412,6 ათასი ლარით.

ა(ა)იპ "მეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ცენტრის" ასიგნება განისაზღვრა 740,0 ათასი ლარით.

ა(ა)იპ „რუსთავის ისტორიული მუზეუმის“ ასიგნება განისაზღვრა 388,4 ათასი ლარით.

ა(ა)იპ „რუსთავის საბიბლიოთეკო გაერთიანება – ილია ჭავჭავაძის სახელობის მთავარი ბიბლიოთეკა“ ასიგნება განისაზღვრა 622,1 ათასი ლარით.

ა(ა)იპ „გიგა ლორთქიფანიძის სახელობის რუსთავის მუნიციპალური თეატრის“ ასიგნება განისაზღვრა 1 246,9 ათასი ლარით.

ა(ა)იპ რაგბის კლუბი „რუსთავის ხარების“ ასიგნება განისაზღვრა 510,0 ათასი ლარით.

შპს საკალათბურთო კლუბი - “რუსთავი 1991” ასიგნება განისაზღვრა 1 556,9 ათასი ლარით.

**მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები შემდეგნაირად განისაზღვრება:**

ათას ლარებში

| პროგ. კოდი   | დასახელება                                                                                        | 2023 წლის პროგნოზი |
|--------------|---------------------------------------------------------------------------------------------------|--------------------|
| <b>სულ</b>   | <b>ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ასიგნებები</b>                                                  | <b>87 367,7</b>    |
| <b>01 00</b> | <b>მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები</b>                                                 | <b>17 176,7</b>    |
| <b>01 01</b> | <b>საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობის უზრუნველყოფა</b>                                    | <b>10 758,7</b>    |
| 01 01 01     | ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო                                                          | 2 237,6            |
| 01 01 02     | ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია                                                              | 8 027,2            |
| 01 01 03     | სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური                                                         | 393,9              |
| 01 01 04     | საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა                                                | 100,0              |
| <b>01 02</b> | <b>საერთო დანიშნულების ხარჯები</b>                                                                | <b>6 418,0</b>     |
| 01 02 01     | სარეზერვო ფონდი                                                                                   | 800,0              |
| 01 02 02     | წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი | 5,0                |
| 01 02 03     | ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ვალდებულებებისა და დავალიანებების მომსახურება/დაფარვა              | 5 409,8            |
| 01 02 04     | მუნიციპალური არქივის ხელშეწყობა                                                                   | 123,2              |
| 01 02 05     | ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტოს ხელშეწყობა                                         | 80,0               |
| <b>02 00</b> | <b>ინფრასტრუქტურის განვითარება</b>                                                                | <b>27 260,0</b>    |
| <b>02 01</b> | <b>საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება</b>                                                         | <b>5 814,1</b>     |
| 02 01 01     | გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთება                                                        | 4 307,6            |
| 02 01 02     | გზებისა და ტროტუარების მიმდინარე შეკეთება                                                         | 415,0              |
| 02 01 03     | საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება                                                                     | 1 091,5            |
| <b>02 02</b> | <b>წყლის სისტემების განვითარება</b>                                                               | <b>435,2</b>       |
| 02 02 01     | სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა                                              | 435,2              |
| <b>02 03</b> | <b>გარე განათება</b>                                                                              | <b>2 210,1</b>     |
| 02 03 01     | გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობა                                                             | 2 210,1            |

|                |                                                                                                  |                 |
|----------------|--------------------------------------------------------------------------------------------------|-----------------|
| <b>02 04</b>   | <b>მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია</b>                                 | <b>7 086,9</b>  |
| 02 04 01       | საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების რეაბილიტაცია                                           | 380,2           |
| 02 04 02       | საცხოვრებელი შენობების სახურავების რეაბილიტაცია                                                  | 724,1           |
| 02 04 03       | შენობების ფასადების რეაბილიტაცია                                                                 | 3 146,4         |
| 02 04 04       | მრავალსართულიან საცხოვრებელ შენობებში ლიფტების რეაბილიტაცია                                      | 2 836,2         |
| <b>02 05</b>   | <b>ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება</b>                                                | <b>2 500,6</b>  |
| <b>02 06</b>   | <b>კეთილმოწყობის ღონისძიებები</b>                                                                | <b>2 593,7</b>  |
| 02 06 01       | საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა                                | 2 393,7         |
| 02 06 02       | სადღესასწაულო ღონისძიებების ტექნიკური უზრუნველყოფა                                               | 200,0           |
| <b>02 07</b>   | <b>მუნიციპალური ავტოტრანსპორტის განვითარება</b>                                                  | <b>4 433,4</b>  |
| <b>02 08</b>   | <b>საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნა</b>                                            | <b>299,0</b>    |
| <b>02 09</b>   | <b>საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და ექსპერტიზა</b> | <b>699,3</b>    |
| <b>02 10</b>   | <b>რუსთავის კორპუსის ადმინისტრირების პროგრამა</b>                                                | <b>1 097,7</b>  |
| <b>02 11</b>   | <b>სასაფლაოების მოვლა-პატრონობა</b>                                                              | <b>90,0</b>     |
| <b>03 00</b>   | <b>დასუფთავება და გარემოს დაცვა</b>                                                              | <b>9 968,0</b>  |
| <b>03 01</b>   | <b>დასუფთავება და ნარჩენების გატანა</b>                                                          | <b>5 418,9</b>  |
| <b>03 02</b>   | <b>მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება</b>                                            | <b>3 037,0</b>  |
| <b>03 03</b>   | <b>ცხოველთა მონიტორინგი</b>                                                                      | <b>641,9</b>    |
| <b>03 04</b>   | <b>რუსთავერვის ცენტრის ადმინისტრირების პროგრამა</b>                                              | <b>870,2</b>    |
| <b>04 00</b>   | <b>განათლება</b>                                                                                 | <b>16 121,5</b> |
| <b>04 01</b>   | <b>სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება</b>                                                  | <b>14 209,9</b> |
| <b>04 02</b>   | <b>სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა</b>                                       | <b>58,5</b>     |
| <b>04 03</b>   | <b>შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ხელშეწყობა</b>                                          | <b>740,0</b>    |
| <b>04 04</b>   | <b>საშუალო სკოლებში ტრანსპორტირება და ინფრასტრუქტურის მოწყობა/რეაბილიტაცია</b>                   | <b>518,1</b>    |
| <b>04 05</b>   | <b>სტუდენტთა სწავლის დაფინანსება</b>                                                             | <b>520,0</b>    |
| <b>04 06</b>   | <b>ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ოქროს მედალზე კურსდამთავრებულთა წახალისების პროგრამა</b>        | <b>75,0</b>     |
| <b>05 00</b>   | <b>კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი</b>                                                           | <b>8 926,3</b>  |
| <b>05 01</b>   | <b>სპორტის სფეროს განვითარება</b>                                                                | <b>3 262,8</b>  |
| 05 01 01       | სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა                                                              | 2 066,9         |
| 05 01 02       | სპორტული ღონისძიებების დაფინანსება                                                               | 1 195,9         |
| 05 01 03       | სპორტული და საბავშვო ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა                                | 0,0             |
| <b>05 02</b>   | <b>კულტურის სფეროს განვითარება</b>                                                               | <b>4 484,5</b>  |
| 05 02 01       | კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა                                                       | 3 806,6         |
| 05 02 01<br>01 | სახელოვნებო განათლების დაფინანსება                                                               | 1 549,2         |

|              |                                                                                                                              |                |
|--------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|----------------|
| 05 02 01 02  | თეატრის ხელშეწყობა                                                                                                           | 1 246,9        |
| 05 02 01 03  | მუზეუმის ხელშეწყობა                                                                                                          | 388,4          |
| 05 02 01 04  | ბიბლიოთეკების ხელშეწყობა                                                                                                     | 622,1          |
| 05 02 02     | კულტურული ღონისძიებების განხორციელება                                                                                        | 667,9          |
| 05 02 03     | კულტურული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა                                                                       | 0,0            |
| 05 02 04     | რელიგიური კონფესიების ხელშეწყობა                                                                                             | 10,0           |
| <b>05 03</b> | <b>ახალგაზრდობის მხარდაჭერა</b>                                                                                              | <b>285,0</b>   |
| 05 03 01     | ახალგაზრდობის მხარდაჭერი ღონისძიებები                                                                                        | 285,0          |
| <b>05 04</b> | <b>სპორტის, კულტურისა და ახალგაზრდობის ქვეპროგრამების ადმინისტრირების პროგრამა</b>                                           | <b>894,0</b>   |
| <b>06 00</b> | <b>ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა</b>                                                                          | <b>7 915,1</b> |
| <b>06 01</b> | <b>ჯანმრთელობის დაცვა</b>                                                                                                    | <b>2 698,8</b> |
| 06 01 01     | საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა                                                                | 412,6          |
| 06 01 02     | მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება                                                                                | 650,0          |
| 06 01 03     | მოქალაქეთა მედიკამენტებითა და საანალიზო ტექნიკური საშუალებებით დახმარება                                                     | 300,0          |
| 06 01 04     | აუტიზმის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის დაფინანსება                                                                             | 856,8          |
| 06 01 05     | გონებრივი განვითარების დაყოვნების, ცერებრული დამბლით დაავადებული და დაუნის სინდრომის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის დაფინანსება | 415,4          |
| 06 01 06     | HER - 2 დადებითი ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება                                                           | 64,0           |
| <b>06 02</b> | <b>სოციალური უზრუნველყოფა</b>                                                                                                | <b>5 216,3</b> |
| 06 02 01     | მინიმალური სასურსათო კვების დაფინანსება                                                                                      | 2 660,9        |
| 06 02 02     | სარიტუალო მომსახურებები                                                                                                      | 26,0           |
| 06 02 03     | შეღავათი სასმელი წყლის გადასახადზე                                                                                           | 56,4           |
| 06 02 04     | შეღავათები მუნიციპალურ ტრანსპორტზე                                                                                           | 1 037,0        |
| 06 02 05     | ინდივიდუალური დახმარებების პროგრამები                                                                                        | 39,5           |
| 06 02 06     | უხუცეს მოქალაქეთა დახმარება                                                                                                  | 4,0            |
| 06 02 07     | რუსთავის მოხუცებულთა სახლის ხელშეწყობა                                                                                       | 566,6          |
| 06 02 08     | მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება                                                                                            | 400,0          |
| 06 02 09     | საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეთა და მათთან გათანაბრებულ პირთა ოჯახების მატერიალური დახმარება                                 | 38,5           |
| 06 02 10     | შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარება                                                                              | 84,2           |
| 06 02 11     | სტუდენტთა სოციალური დახმარება                                                                                                | 50,0           |
| 06 02 12     | სოციალური დახმარებების პროგრამა                                                                                              | 85,0           |
| 06 02 13     | სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების დამოუკიდებელი ცხოვრების მხარდაჭერის პროგრამა                              | 10,0           |
| 06 02 14     | ღიალიზით დაავადებულთა დახმარების პროგრამა                                                                                    | 67,2           |
| 06 02 15     | ბავშვთა დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა                                                                                      | 20,0           |
| 06 02 16     | ძალადობის მსხვერპლი ბავშვიანი პირების ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა                                              | 5,0            |
| 06 02 17     | შინ მოვლის თანადაფინანსება                                                                                                   | 66,0           |

**ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში:**

- საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 13 608,4 ათასი ლარი, საიდანაც ვალების მომსახურება შეადგენს 2 235,4 ,0 ათას ლარს.
- თავდაცვა - 393,9 ათასი ლარი;
- ეკონომიკური საქმიანობა - 10 247,5 ათასი ლარი;
- გარემოს დაცვა - 10 403,2 ათასი ლარი;
- საბინაო-კომუნალური მეურნეობა - 16 377,4 ათასი ლარი;
- ჯანმრთელობის დაცვა - 2 698,8 ათასი ლარი;
- დასვენება, კულტურა და რელიგია - 9 126,3 ათასი ლარი;
- განათლება - 16 121,5 ათასი ლარი;
- სოციალური დაცვა - 5 216,3 ათასი ლარი.

**ბიუჯეტის პროექტთან ერთად წარმოდგენილია:**

- ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი 2023-2026 წლებისათვის;
- ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროგრამული დანართი;
- ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის კაპიტალური ბიუჯეტის დანართი;
- 2023 წლის ბიუჯეტის იურიდიულის პირების დანართი.